ხელშეკრულება №211

ქ. ოზურგეთი 1 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ალეკო მამეშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გზამშენი 18“ (შემდგომში „მომწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ჭანტურიას სახით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულების საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერით ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავების და სანიტარული მომსახურების, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებების (კლასიფიკატორის კოდი 90600000) შესყიდვა სოფ. შემოქმედის კეთილმოწყობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია:
– სოფ. შემოქმედის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლის შენობის ნარჩენი ფუნდამენტის დემონტაჟისა და მთლიანი ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოები – 8438 ლარი (კოდი: 90600000);

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.
3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **8438 (რვაათასოთხასოცდათვრამეტი)** ლარს, დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 10 ნოემბრამდე.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ოზურგეთი, სოფ. შემოქმედი.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის („ფორმა №2“, აქტი შესრულებული სამუშაოს შესახებ, საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სხვა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.
7.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, აღნიშნულ

სამუშაოზე წარმოდგენილი „ფორმა №2"-სა და შესრულებულ სამუშაოზე აქტის წარმოდგენის საფუძველზე.
7.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღეში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ ხელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ალეკო მამეშვილის სახით, მისამართი: მ. კოსტავას ქუჩა №1,
საიდენტიფიკაციო კოდი №237112799
ბანკის რეკვიზიტები: ს.ს. „ვითიბი“ ბანკის ოზურგეთის ფილიალი, კოდი: №220101643, ანგარიში: № 11063303

მიმწოდებელი: შ.პ.ს. „გზამშენი–18“, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ჭანტურიას სახით, საიდენტიფიკაციო კოდი №237081206.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №62. ტელ.: 599 553 551
ბანკის რეკვიზიტები: „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“-ს ოზურგეთის ფილიალი. ბანკის კოდი №UGBGE22. ანგარიშის **№GE17VT4300000000467156**

დამკვეთი

ა. მამეშვილი

მიმწოდებელი

ვ. ჭანტურია

ვამტკიცებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

გამგეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ა.ი.პ. „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“

ხარჯთაღრიცხვა

სოფ. შემოქმედის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლის შენობის ნარჩენი ფუნდამენტის დემონტაჟისა და მთლიანი ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოები.

ა.ი.პ. „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს

დირექტორი: /კ. გაგუა/

ქ. ოზურგეთი

2011წ.

განმარტებითი ბარათი

სოფ. შემოქმედის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლის შენობის ნარჩენი ფუნდამენტის დემონტაჟისა და მთლიანი ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა შედგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დავალებით, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი სადეფექტო აქტის საფუძველზე.

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა.ი.პ. „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი"-ს მიერ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული: სამშენებლო მასალების, მუშა ხელის, სატრანსპორტო საშუალებების, საშუალო საბაზრო ფასებით დღევანდელი მდგომარეობით.

ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია შემდეგი დარიცხვები:

ზედნადები ხარჯები 5 %

გეგმიური დაგროვება 6 %

დ.ღ.გ. 18 %

სადეფექტო აქტი

ჩვენ ქვემოთ მომწერნმა კომისიამ შემადგენლობით: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსმა კოსტანტინე სარიშვილმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა თემურ გიორგაძემ, სოფ. შემოქმედის რწმუნებულმა ბესიკ ლომინაძე.

შევადგინეთ ეს სადეფექტო აქტი მასზედ რომო, სოფ. შემოქმედის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლის შენობის ნარჩენი ფუნდამენტის დემონტაჟისა და მთლიანი ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოებისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახისა და რაოდენობის სამუშაოები:

№	სამუშაოს დასახელება	ერთ.	რაოდ.
1	2	3	4
1	ტერიტორიის მოშანდაგება და ნარჩენების შესაგროვებლად ბულდოზერი	მან/დღე	3
2	რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა („კოდალა") და ნარჩენების დატვირთვა თვითმცლელზე (მუხლუხა სვლაზე კოვშიანი ექსკავატორი.)	მან/დღე	3
3	ტვითმცლელით ტრანსპორტირება 0..2 კმ მანძილზე (1 რეისი 6 კუბ/მ)	რეისი	150
4	ბულდოზერისა და მუხლუხებიანი კოვშიანი ექსკავატორის ლაფეტით ტრანსპორტირება	რეისი	4

აქტის სიზუსტეს ვადასტურებთ:

1. _____ კ. სარიშვილი
2. _____ თ. გიორგაძე
3. _____ ბ. ლომინაძე

ხარჯთაღრიცხვა

სოფ. შემოქმედის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლის შენობის ნარჩენი ფუნდამენტის დემონტაჟისა და მთლიანი ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოები.

№	სამუშაოს დასახელება	ერთ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		სულ ჯამი
				ერთ.	ჯამი	ერთ.	ჯამი	ერთ.	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ტერიტორიის მოშანდაგება და ნარჩენების შესაგროვებლად ბულდოზერი	მან/დღე	3	0	0	150	450	400	1200	1650
2	რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა („კოდალა") და ნარჩენების დატვირთვა თვითმცლელზე (მუხლუხა სვლაზე კოვშიანი ექსკავატორი.)	მან/დღე	3	0	0	150	450	400	1200	1650
3	ტვითმცლელით ტრანსპორტირება 0,2 კმ მანძილზე (1 რეისი 6 კუბ/მ)	რეისი	150,0	0	0	7,5	1125,0	8,0	1200,0	2325,0
4	ბულდოზერისა და მუხლუხებიანი კოვშიანი ექსკავატორის ლაფეტით ტრანსპორტირება	რეისი	4	0	0	100	400	100	400	800
	ჯამი				0		2425		4000	6425
	ზედნადები ხარჯები 5 %									321
	ჯამი									6746
	გეგმიური დაგროვება 6 %									405
	ჯამი									7151
	დ.დ.გ. 18%									1287
	ჯამი									8438

შეადგინა; /ი. ანდღულაძე/